ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 8

ქ. ონი 30. 08. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 10 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, სერგო ლობჯანიძე, გივი მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, თეიმურაზ ცეცაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

არ ესწრებოდნენ: ვასილ მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გივი ბენდიანიშვილი, თამარ ხომასურიძე-მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ..

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

3. 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

/მომხს. გ. ბენდიანიშვილი-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

4. ინფორმაცია ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით საკითხის საკრებულოს დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ.

/მომხს. ალ. კერვალიშვილი--საკრებულოს აპარატის უფროსი/

5. „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივლისის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. თ. გრძელიშვილი- მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

6. „ონის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივლისის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

7. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

8. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

9. ინფორმაცია თემატური საბჭოების შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაძლიერების შესახებ ონის მუნიციპალიტეტში.

/მომხს. თ. ხომასურიძე-ონის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი/

10. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

11. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის წევრი/

ბ. მარკოიშვილმა განაცხადა, რომ საკითხი - 11. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ, საჭიროა, გადაიდოს საკითხის მოუმზადებლობის გამო.

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 3. 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

/მომხს. გ. ბენდიანიშვილი-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 4. ინფორმაცია ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით საკითხის საკრებულოს დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ.

/მომხს. ალ. კერვალიშვილი--საკრებულოს აპარატის უფროსი/

მომხსენებელმა ბიუროს სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის მერის სერგო ხიდეშელის წერილი (24.08.2023-78-7823223643), რომლითაც მერი ითხოვს არ მიეცეს მსვლელობა ასევე მის მიერ 15.08.2023 წლის 78-78232276 წერილით მოთხოვნას სოფ. ნიგვზნარაში სოფლის ამბულატორიის მშენებლობისათვის მიწის უსასყიდლოდ სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგისთვის გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემას.

გადაწყდა: ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით საკითხის საკრებულოს დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ.

მოისმინეს: 5. ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივლისის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. თ. გრძელიშვილი- მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივლისის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 6. ,,ონის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივლისის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივლისის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში .

მოისმინეს: 7. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ზ. ბენდიანიშვილმა აღნიშნა, რომ მას მართებულად მიაჩნია კომაცუ ამოღებული იქნეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან, რადგან, როგორც მან აღნიშნა, არაა მიზანშეწონილი, სტიქიის ზონაში გაიყიდოს მსგავსი ტიპის ტექნიკა. შესასწავლია, რატომ გახდა საჭირო ამ ძვირადღირებული ტექნიკის გაყიდვა საკმაოდ დაბალ ფასად, რამდენი საათი იმუშავა, რა მიზეზით გაფუჭდა და ა.შ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 8. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 9. ინფორმაცია თემატური საბჭოების შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაძლიერების შესახებ ონის მუნიციპალიტეტში.

/მომხს. თ. ხომასურიძე-ონის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია თემატური საბჭოების შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაძლიერების შესახებ ონის მუნიციპალიტეტში.

გადაწყდა: წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 10. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

გადაწყდა: წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე